ხშირად დასმული კითხვები: საქართველოს ევროპული პერსპექტივა

- *ევროკავშირმა საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა: რას ნიშნავს ეს?*
- *რატომ მიენიჭათ უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი, მაგრამ საქართველოს ჯერ პირობების შესრულება უწევს?*
- *თუ საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს, ამის შემდეგ ქვეყანას რისი გაკეთება მოუწევს ?*
- *ნიშნავს თუ არა „კანდიდატის სტატუსი“, რომ ქვეყანას, მაგალითად, აქვს წვდომა სპეციალურ პროგრამებზე? სხვა სახის სარგებელი თუ არის?*
- *არსებობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის დათქმული რაიმე ვადა?*
- *რა მოხდება, თუ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში 12 პირობა არ შესრულდება? შეუქმნის ეს საფრთხეს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას?*
- *რას ნიშნავს „დეოლიგარქიზაცია“ პრაქტიკული თვალსაზრისით?*
- *რამდენად უკავშირდებოდა ევროკავშირის გადაწყვეტილება რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინაში?*

ევროკავშირმა საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა: რას ნიშნავს ეს?

საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის აღიარება უაღრესად მნიშვნელოვანია, ეს არის ევროკავშირისკენ გზის გახსნა და იმის აღიარება, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სამომავლო პერსპექტივა გააჩნია.

თავის მოსაზრებაში ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოს განაცხადის თაობაზე ევროკომისიამ განაცხადა, რომ საქართველო არის ევროპული სახელმწიფო, რომელიც ერთგულია იმ ღირებულებებისა, რომლებზეც დაფუძნებულია ევროკავშირი, პატივს სცემს და ხელს უწყობს მათ გაძლიერებას და შესაბამისად, რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მიეცეს პერსპექტივა გახდეს ევროკავშირის წევრი.

კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მას შემდეგ მიენიჭება, რაც შესრულდება მთელი რიგი პრიორიტეტებისა, ძირითადად დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სფეროებში. ევროპის საბჭომ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა.

რატომ მიენიჭათ უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი, მაგრამ საქართველოს ჯერ პირობების შესრულება უწევს?

ევროპული პერსპექტივის აღიარება სამივე ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, ისტორიული ნაბიჯია.

ნათელია, რომ მოსაზრებები განსხვავდება. სამივე მოსაზრებიდან თითოეული ევროკომისიის საფუძვლიან და ფაქტებზე დაფუძნებულ შეფასებას ემყარება. ეს შეფასება თითოეული განმცხადებელი ქვეყნის საკუთარ დამსახურებას ეფუძნება. საქართველოს შემთხვევაში მეტი სამუშაოა გასაკეთებელი. ეს ნიშნავს, რომ ახალი ენერგია და კონსოლიდაციაა საჭირო სამუშაოს შესრულების ზოგიერთი ძველი ხერხის გასაახლებლად.

საქართველოს კანდიდატის სტატუსი მისაწვდომია, მაგრამ მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა ოპოზიციასთან ერთად ყველა პარტიის ჩართულობით, 12 ძირითადი პრიორიტეტის შესრულებაზე იმუშავებს.

თუ საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს, ამის შემდეგ ქვეყანას რისი გაკეთება მოუწევს?

მოსაზრებაში ჩამოთვლილი პრიორიტეტები განსაზღვრულია საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად. აღნიშნულის მიღწევის ვადები საქართველოს მთავრობის ხელშია. როგორც კი ეს პრიორიტეტები ევროკომისიის მიერ შესრულებულად იქნება მიჩნეული, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ევროპული საბჭოს ხელში გადადის.

ნიშნავს თუ არა „კანდიდატის სტატუსი“, რომ ქვეყანას, მაგალითად, აქვს წვდომა სპეციალურ პროგრამებზე? სხვა სახის სარგებელი თუ არის?

მას შემდეგ, რაც ხდება ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარება, კანდიდატის სტატუსის მიღება არის პირველი ოფიციალური ნაბიჯი გაწევრიანების პროცესში.
კანდიდატის სტატუსი არ გულისხმობს დამატებით უფლებებს, სარგებელს ან დამატებით დაფინანსებაზე ავტომატურ წვდომას, ევროპული პერსპექტივის მქონე ქვეყნებთან შედარებით.

არსებობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის დათქმული რაიმე ვადა?

ევროკავშირში გაწევრიანება ერთ ღამეში არ ხდება. ის წლების განმავლობაში გაწერილი, დეტალური პროცესია და მოიცავს სიღრმისეულ მუშაობას, წევრობისთვის დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიმართულებით.
გაწევრიანების ტემპი დამოკიდებულია რეფორმების პროცესში წინსვლაზე, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტურ სფეროებში, კანონის უზენაესობით დაწყებული.
ამჟამად, ევროკავშირამა საქართველოს შესთავაზა, დაიწყოს მუშაობა ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ 12 პრიორიტეტზე, კანდიდატის სტატუსის მისაღებად. კომისია ამ პრიორიტეტების შესრულებასთან დაკავშირებულ წინსვლას დააკვირდება. ევროპულმა საბჭომ მიმართა ევროკომისიას, რომ მან წარუდგინოს ანგარიში ამ ნაბიჯებისა და პრიორიტეტების შესრულების შესახებ, რომლებიც მითითებულია მოსაზრებებში ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ შესაბამისი განაცხადების თაობაზე, 2023 წელს გაფართოების მორიგი პაკეტის ფარგლებში.

რა მოხდება, თუ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში 12 პირობა არ შესრულდება? შეუქმნის ეს საფრთხეს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას?

რეკომენდაციები საქართველოსთვის გამოკვეთავს სფეროებს, სადაც კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე ჯერ კიდევ საჭიროა წინსვლა. ეს არის მკაფიო საგზაო რუკა, რომელთანაც სრულ შესაბამისობაში უნდა იმოქმედოს მთავრობამ, სანამ საქართველო თავის ევროპულ გზაზე წინ წაწევას შეძლებს. ამ პირობების შესასრულებლად ოფიციალური ვადა არ არსებობს. ზოგიერთი პრიორიტეტი მოითხოვს მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას, სადაც ხარისხი განხორციელების სისწრაფეზე უპირატესი უნდა იყოს.
ევროპული გზა დამსახურებაზე დაფუძნებულ პროცესად რჩება. არ არსებობს მოკლე გზა წევრობამდე, მხოლოდ რეფორმების განხორციელებაში მკაფიო და ხელშესახებ წინსვლას შეუძლია პროცესის წინ წაწევა. ახლა საქართველოს ამოცანაა იმუშაოს და წინ წავიდეს ევროკომისიის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად.
ამ რეფორმების წინსვლა წახალისდება და დაჯილდოვდება. ანალოგიურად, თუ განმცხადებელი ქვეყანა არ განახორციელებს რეფორმებს ან უკან დაიხევს, გაწევრიანებისთვის მოსამზადებელი პროცესი შეიძლება შეჩერდეს ან უკან დაბრუნდეს კიდეც.

რას ნიშნავს „დეოლიგარქიზაცია“ პრაქტიკული თვალსაზრისით?

საქართველოს მიერ მიღებულ მემკვიდრეობაში არის კერძო ინტერესების გავლენა კანონის უზენაესობაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებზე. ეს საკითხი თუ არ მოგვარდება, მას შეუძლია შეაფერხოს კონკურენცია, საინვესტიციო კლიმატი და პროდუქტიულობის ზრდა - რაც ქვეყნის კეთილდღეობაზე ზოგადად უარყოფითად იმოქმედებს.
მეტია გასაკეთებელი ამ კერძო ინტერესების გავლენის აღსაკვეთად როგორც პოლიტიკურ, ისე კომერციულ სფეროებში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რომელიც საქართველომ თავის ევროპულ გზაზე უნდა შეასრულოს.
თუმცა, ევროკომისიის პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს პრობლემების შემქმნელი პირებისა და სტრუქტურების გამოვლენა. ეს არის ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების პასუხისმგებლობა.

რამდენად უკავშირდებოდა ევროკავშირის გადაწყვეტილება რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინაში?

კომისიის მოსაზრება ეფუძნებოდა სამი ქვეყნის შეფასებას, მათ საკუთარ დამსახურებაზე დაყრდნობით და მიმდინარე სამხედრო ოპერაციებთან არ არის დაკავშირებული.
სამივე მოსაზრებიდან თითოეული ეყრდნობოდა ევროკომისიის საფუძვლიან და ფაქტებზე დაფუძნებულ შეფასებას, კერძოდ, გათვალისწინებული იყო კომისიის მიერ გაგზავნილ კითხვარზე საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული პასუხები. ამან კომისიის მოსაზრებების განსხვავება გამოიწვია.